

2019 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის გრანტით  
დაფინანსების პირობები

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის პირობები არეგულირებს მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის გამართვის წესს, კონკურსში მონაწილეობის პირობებსა და მონიტორინგის საკითხებს.
2. საგრანტო კონკურსის მიზანია: ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად, გაძლიერდეს ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალი და ხელი შეეწყოს ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციასა და თანამშრომლობას, მეცნიერების განვითარებასა და პოპულარიზაციას, მეცნიერებაში ახალი კადრების მოზიდვასა და ახალგაზრდა მეცნიერთა კვალიფიკაციის ამაღლებას. აგრეთვე, ხელი შეუწყოს სამეცნიერო შრომების საერთაშორისო ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში დაბეჭდვას.
3. საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსება გაიცემა ორ ლოტში:
  - ა) **პირველი ლოტი** - მოკლევადიანი ინდივიდუალური ვიზიტი საზღვარგარეთ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის (შემდგომში - მობილობა);
  - ბ) **მეორე ლოტი** - საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზება.
4. მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს ფონდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 9 ივნისის №96/ნ ბრძანებით დადგენილი საგრანტო კონკურსის დებულების შესაბამისად.
5. კონკურსში პროექტის წარდგენა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 9 ივნისის №96/ნ ბრძანების პირველი მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად. ამ მიმართულებებს კონკურსის სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორის (დანართი №14) მიხედვით მიენიჭა შემდეგი კოდები:
  1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
  2. ინჟინერია და ტექნოლოგიები;
  3. სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
  4. აგრარული მეცნიერებები;
  5. სოციალური მეცნიერებები;
  6. ჰუმანიტარული მეცნიერებები;
  7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები.

**მუხლი 2. მობილობის გრანტის პირობები**

**1. მობილობა**

- ა) მობილობის გრანტი გულისხმობს მეცნიერთა მოკლევადიანი ინდივიდუალური ვიზიტის დაფინანსებას საზღვარგარეთ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის, მისი კვლევის შედეგად

მომზადებული სამეცნიერო ნაშრომის საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის წარდგენის მიზნით.

ბ) მობილობა მიზნად ისახავს ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციას, მათი თანამედროვე სამეცნიერო კვლევებისა და შედეგების შესახებ ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლას.

## 2. სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

ა) მობილობის გრანტის მოსაპოვებლად, კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს მოქალაქე დოქტორის, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ფიზიკურ პირს და საქართველოს მოქალაქე დოქტორანტურის, მაგისტრატურის, რეზიდენტურის სტუდენტს;

ბ) კონკურსში მონაწილეობის მიღება შეიძლება მხოლოდ ინდივიდუალურად. თუ სამეცნიერო ნაშრომს რამდენიმე თანაავტორი ჰყავს, ერთი და იმავე მოხსენებით ვიზიტის დასაფინანსებლად საკონკურსო განაცხადის შემოტანა შეუძლია მხოლოდ ერთ ავტორს;

გ) საგრანტო კონკურსში მონაწილეს შეუძლია მხოლოდ ერთი საკონკურსო განაცხადის დარეგისტრირება საზღვარგარეთ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე ზეპირი ან სასტენდო მოხსენებით წარდგენისათვის;

დ) მობილობის გრანტები გაიცემა საზღვარგარეთ იმ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, რომელთა ჩატარება 2019 წლის 1 მაისიდან 2020 წლის 28 თებერვლის ჩათვლით არის დაგეგმილი.

## 3. პროექტის დაფინანსება და ბიუჯეტი

ა) მობილობის გრანტი ითვალისწინებს მონაწილეობას შემდეგ საერთაშორისო ღონისძიებებში:

- 1) კონფერენცია;
- 2) კონგრესი;
- 3) ფორუმი;
- 4) სიმპოზიუმი;
- 5) სამუშაო შეხვედრა (სემინარი, ვორქშოპი - Workshop).

ბ) მობილობის გრანტით ერთი პროექტისათვის მაქსიმალური ასანაზღაურებელი თანხა არის 2000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში;

გ) საკონკურსო განაცხადი შესაძლოა ითვალისწინებდეს თანადაფინანსებას;

დ) მობილობის გრანტი მოიცავს საზღვარგარეთ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:

1) **ვიზის მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს** (სავიზო მოსაკრებელი, სავიზო მომსახურების ცენტრის მომსახურების ხარჯები, საქართველოში შესაბამისი საკონსულოს არ არსებობის შემთხვევაში დოკუმენტაციის საზღვარგარეთ გაგზავნასთან და მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს);

2) **სამოგზაურო დაზღვევის ხარჯებს**;

3) **მგზავრობის ხარჯებს** (დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის ხარჯებს - თვითმფრინავით (ეკონომ კლასის ავიაბილეთი), მატარებლით, ავტობუსით ან/და სხვა სატრანსპორტო საშუალებით მგზავრობა). აღნიშნული ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში არ ანაზღაურდება შიდა საქალაქო გადაადგილების ხარჯები;

4) **სარეგისტრაციო გადასახადს** (ღონისძიებაში მონაწილეობის გადასახადი და ღონისძიების ფარგლებში სტატიის/აბსტრაქტის გამოქვეყნების ხარჯები). **ახალგაზრდა მეცნიერთათვის** სარეგისტრაციო გადასახადი შეიძლება ასევე მოიცავდეს კონფერენციასთან/კონგრესთან ასოცირებულ ღონისძიებაში (ხანმოკლე სემინარის, ტრენინგის) მონაწილეობის ხარჯს. აღნიშნული ხარჯვითი კატეგორია არ ითვალისწინებს სამეცნიერო ორგანიზაციის წევრობის ხარჯებს;

5) **სადღეღამისო ხარჯებს** (დაანგარიშდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის #220 ბრძანებით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად). **ღონისძიების ორგანიზატორის/მიმღები მხარის**

მიერ კვებით უზრუნველყოფის შემთხვევაში გრანტის მიმღებს აუნაზღაურდება ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სადღეღამისო ნორმის 30%;

6) საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯებს (დაანგარიშდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის #220 ბრძანებით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად).

ე) სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯები აუნაზღაურდება კონფერენციაზე ფაქტობრივად ყოფნის, გამგზავრებისა და დაბრუნების დღეების ჩათვლით.

ვ) მობილობის გრანტით არ ფინანსდება თანმხლები პირების სამგზავრო და სხვა ხარჯები, საქართველოს ტერიტორიაზე ადგილობრივი ტრანსპორტის (ტაქსი, ავტობუსი, მატარებელი) და საკომუნიკაციო (ტელეფონი, ფაქსი, ინტერნეტი) ხარჯები, აგრეთვე სხვა ნებისმიერი ხარჯი ამ მუხლის „ე“ პუნქტით განსაზღვრული ხარჯების გარდა.

ზ) ხარჯები ფონდის მიერ მიზნობრივად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი გაწეულია კონკურსის გამოცხადების შემდგომ პერიოდში და შესაბამისობაშია კონკურსით დარეგულირებული ბიუჯეტის ხარჯვით კატეგორიებთან.

თ) ფონდი გრანტის მიმღებს ავანსად გადაურიცხავს პროექტის ბიუჯეტის ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 90 პროცენტს. საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება გრანტის მიმღების მიერ ფონდში შესაბამისი ანგარიშის წარმოდგენის და ფონდის მიერ ანგარიშის განხილვის აქტის შედგენის საფუძველზე.

#### 4. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

ა) საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი პროექტის დოკუმენტაცია მოიცავს შემდეგ ჩამონათვალს:

1. პროექტის თავფურცელი (დანართი 2, ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System] პროექტის რეგისტრაციის დროს);

2. საპროექტო წინადადება (დანართი 3, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);

3. მკვლევრის პროფესიული ბიოგრაფია (CV) - განმცხადებელი ინდივიდუალურად რეგისტრირდება GMUS-ში. მის მიერ შექმნილი პროფილიდან გენერირდება CV-ი, ექსპორტირდება და იტვირთება PDF დოკუმენტის სახით პროექტის წარდგენისას (დანართი 4, ივსება და იტვირთება GMUS-ში);

4. კონკურსის გამოცხადებიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პუბლიკაციის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);

5. ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში, დანართი 5 - იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);

6. პროექტის წარმოდგენი პირის „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (დანართი 6, გენერირდება GMUS-ით) - წარმოდგენილი უნდა იყოს ფონდის კანცელარიაში, დადასტურებული განმცხადებლის ხელმოწერით.

ბ) საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად გამარჯვებულმა კონკურსანტებმა 2019 წლის 6 დეკემბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

1. საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე მოწვევა, მოწვევის ქართული თარგმანი დამოწმებული თარგმანთა ბიუროს მიერ და წარსადგენი მოხსენების სამეცნიერო ღონისძიების პროგრამაში ჩასმის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი;

2. მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც ჩაირიცხება საგრანტო თანხა.

გ) ფონდი უფლებამოსილია კონკურსიდან მოხსნას საგრანტო პროექტები, რომელიც არ აკმაყოფილებს კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, წარმოდგენილია ფორმებისა და ვადების დარღვევით, შეიცავს არასრულ ან ყალბ ინფორმაციას.

დ) ფონდი უფლებამოსილია გამოითხოვოს კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირ(ებ)ისაგან დამატებითი ინფორმაცია.

## 5. მოთხოვნები გრანტის მიმღებისათვის

მოზილობის გრანტის ფარგლებში, პრეზენტაციის მასალაზე (ნაბეჭდი, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონული) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ „პრეზენტაციის მხარდამჭერია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი [გრანტის ნომერი ...]“ / „The presentation was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number ...]“. იმ შემთხვევაში, თუ ვიზუალურ მასალაზე არ იქნება ასახული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას.

### მუხლი 3. საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების გრანტის პირობები

#### 1. საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიება

ა) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების გრანტი გულისხმობს საქართველოში საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზებას კონფერენციის, სეზონური სკოლის ან კომბინირებული ღონისძიების (სეზონური სკოლისა და კონფერენციის ერთდროულად ორგანიზება) სახით.

ბ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები მიზნად ისახავს ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციას, თანამშრომლობის ინიცირებასა და გაღრმავებას, მეცნიერების განვითარების ხელშეწყობას, მეცნიერებაში ახალი კადრების მოზიდვასა და პოპულარიზაციას.

#### 2. სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

ა) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზებისათვის გაიცემა მხოლოდ ინსტიტუციური გრანტი. გრანტის მოსაპოვებლად, კონკურსში მონაწილეობა შეუძლია წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროექტის ძირითად პერსონალთან ერთად.

ბ) პროექტს უნდა ჰყავდეს **წამყვანი ორგანიზაცია** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. წამყვანი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროექტის ხელმძღვანელსა და სხვა ძირითად პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ახორციელებს პროექტის განხორციელების ანგარიშგებას გრანტის გამცემის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და წესის შესაბამისად, ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს; პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებაზე.

გ) პროექტს შეიძლება ჰყავდეს **თანამონაწილე ორგანიზაცია** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიულ პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი, რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. თანამონაწილე ორგანიზაცია წამყვან ორგანიზაციასთან ერთად უზრუნველყოფს პროექტის ხელმძღვანელს, თანახელმძღვანელს და პროექტის სხვა ძირითად პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს; თანამონაწილე ორგანიზაცია შეიძლება იყოს საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც მონაწილეობს პროექტის გარკვეული ამოცანების შესრულებაში, თუმცა ის ვერ იქნება გრანტის მიმღები.

დ) პროექტს უნდა ჰყავდეს **ძირითადი პერსონალი**, რომელიც ასრულებს პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს: პროექტის ხელმძღვანელი, კოორდინატორი, თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირები, რომლებიც ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს; საკონფერენციო ან კომბინირებული ღონისძიების შემთხვევაში, ძირითად პერსონალს შეიძლება აგრეთვე წარმოადგენდნენ კონფერენციის სამეცნიერო

კომიტეტის წევრები და კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები. დაუშვებელია პროექტის ხელმძღვანელისა და პროექტის კოორდინატორის სტატუსს ატარებდეს ერთი და იგივე პიროვნება.

1. პროექტის ხელმძღვანელი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს, ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც პროექტს განახორციელებს წამყვან ორგანიზაციაში, კოორდინაციას უწევს პროექტის შედგენას და პასუხისმგებელია, როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ასევე, პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე;
2. პროექტის კოორდინატორი უნდა იყოს საქართველო მოქალაქე ფიზიკური პირი ძირითადი პერსონალიდან, რომელიც ჩართულია პროექტის მართვასა და ადმინისტრირებაში, პასუხისმგებელია საორგანიზაციო საკითხებზე და არის საკონტაქტო პირი ფონდთან;
3. პროექტის თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეიძლება იყოს საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც თანამონაწილე ორგანიზაციის წარმომადგენელია და პროექტის ხელმძღვანელთან ერთად კოორდინაციას უწევს პროექტის მომზადებასა და განხორციელებას;
4. კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე, აკადემიური ან/და სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირი, რომელიც პასუხისმგებელია პროექტით გათვალისწინებული ღონისძიების სამეცნიერო შინაარსზე;
5. კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, დოქტორი, მაგისტრი, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, დოქტორანტურის, მაგისტრატურის, რეზიდენტურის სტუდენტი, რომელიც მონაწილეობს პროექტის ორგანიზებაში.

ე) პროექტში შეიძლება დამხმარე პერსონალის სტატუსით ჩართული იყვნენ პირები, რომლებიც ეხმარებიან ძირითად პერსონალს ტექნიკური ამოცანების გადაჭრაში.

### 3. დაფინანსების პირობები და ბიუჯეტი

ა) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების პროექტით დაგეგმილი ღონისძიება უნდა ჩატარდეს **2019 წლის 1 მაისიდან 2020 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში.**

ბ) სეზონური სკოლის (როგორც დამოუკიდებელი, ასევე კომბინირებული ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიების) ხანგრძლივობა უნდა იყოს მინიმუმ 30 საათი.

გ) პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება უნდა შეესაბამებოდეს პროექტით გათვალისწინებული ღონისძიების ტიპს შემდეგი სქემის შესაბამისად:

საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიება	ფონდიდან მოთხოვნილი თანხის მაქსიმალური ოდენობა
სეზონური სკოლა	45 000 ლარი
კონფერენცია	45 000 ლარი
კომბინირებული ღონისძიების შემთხვევაში (კონფერენცია და სეზონური სკოლა)	60 000 ლარი

დ) ფონდიდან მოთხოვნილი თანხა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:

1. ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებას;
2. დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებას;
3. საქონელსა და მომსახურებას;
4. ზედნადებ ხარჯებს.

ე) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 35%-ს.

ვ) ზედნადები ხარჯების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 5%-ს.

ზ) ბიუჯეტის ხარჯვითი კატეგორიები დეტალურად განიმარტება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული კლასიფიკატორით (დანართი №15).

თ) დაუშვებელია „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან შრომის ანაზღაურების გაცემა.

ი) პროექტი შესაძლებელია ითვალისწინებდეს თანადაფინანსებას (დამატებით ფინანსურ წყაროს), რაც პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების ნაწილობრივ დაფარვას გულისხმობს.

კ) კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებს ავანსად გადაერიცხება პროექტის ბიუჯეტის ნაწილი (პროექტის ბიუჯეტის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა გარდა ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებისა და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების 25%-სა). საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება ფინანსური და პროგრამული ანგარიშების ფონდში წარდგენისა და ფონდის მიერ ანგარიშების განხილვის აქტის შედგენის საფუძველზე.

#### 4. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

ა) საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი პროექტის დოკუმენტაცია შედგება შემდეგი ჩამონათვალისაგან:

1. პროექტის თავფურცელი (დანართი 7, ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System] პროექტის რეგისტრაციის დროს);
2. საპროექტო წინადადება (დანართი 8, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);
3. "პროფესიული ბიოგრაფიები - CV-ები (დანართი 4), ფიზიკური პირები - პროექტის ძირითადი პერსონალი (მათ შორის პლენარული მომხსენებლები და ლექტორები, თუ ისინი, ამავდროულად, ატარებენ ძირითადი პერსონალის სტატუსს) ინდივიდუალურად რეგისტრირდებიან GMUS-ში. მათ მიერ შექმნილი პროფილიდან გენერირდება და ექსპორტირდება CV-ები, რომლებიც იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტების სახით პროექტის წარდგენისას). ძირითადი და პლენარული მომხსენებლები/მოწვეული ლექტორები და კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრები (თუ ისინი, ამავდროულად, არ ატარებენ ძირითადი პერსონალის სტატუსს) არ რეგისტრირდებიან GMUS-ში და მათგან მოითხოვება CV-ის სტანდარტული ფორმა ქართულ და ინგლისურ ენებზე, PDF დოკუმენტების სახით.
4. პროექტში ჩართული უცხო ქვეყნის მოქალაქის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილი პროექტში მონაწილეობაზე - Letter of Personal Commitment (დანართი 9). თანხმობის წერილი უნდა იყოს ქართულად ნათარგმნი და დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ (იტვირთება GMUS -ში PDF დოკუმენტის სახით);
5. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (დანართი 10, ივსება GMUS-ში);
6. პროექტის განხორციელების ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება (დანართი 11, ივსება GMUS-ში);
7. საზღვარგარეთ რეგისტრირებული თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროექტში თანამონაწილეობის თანხმობის წერილი (Letter of Institutional Commitment). თანხმობის წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე ორგანიზაციის ოფიციალურ სატიტულო ფურცელზე, დადასტურებული შესაბამისი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ნათარგმნი ქართულად და დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);
8. ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში; დანართი 12, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით) შესაბამისი თანხის მითითებით, დადასტურებული შესაბამისი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უცხოური ორგანიზაციის ან უცხოელი ფიზიკური პირის შემთხვევაში, აღნიშნული დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი ქართულად და დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;
9. პროექტის წარმოდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (დანართი 13, გენერირდება GMUS -ით) წარმოდგენილი უნდა იყოს ფონდის კანცელარიაში, დადასტურებული წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაცი(ებ)ის უფლებამოსილი პირ(ებ)ის ხელმოწერითა და ბეჭდით, პროექტის ხელმძღვანელის, კოორდინატორის, თანახელმძღვანელისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ძირითადი პერსონალის

ხელმოწერებით.

ბ) კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებმა უნდა წარმოადგინოს:

1. წამყვანი და საქართველოში რეგისტრირებული თანამონაწილე ა(ა)იპ-ის და უსდ-ს ორგანიზაციის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები - ამ პროექტისათვის ცალკე გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

2. ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და საქართველოში რეგისტრირებულ თანამონაწილე ორგანიზაციებს არ გააჩნია სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანება.

გ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ლოტში ფიზიკურ პირებს პროექტის ხელმძღვანელის, კოორდინატორისა და თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სტატუსით შეუძლიათ მხოლოდ ერთი პროექტის წარდგენა.

დ) დაუშვებელია საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების და საქართველოს შემსწავლელი მიზნობრივი კონფერენციის საგრანტო კონკურსებში ერთი და იგივე საპროექტო წინადადების წარდგენა.

ე) ფონდი უფლებამოსილია გამოითხოვოს კონკურსში მონაწილე პირებისაგან დამატებითი ინფორმაცია.

## 5. მოთხოვნები გრანტის მიმღებისათვის

ა) პროექტში ჩართული უნდა იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე, ან უცხოეთში მოღვაწე საქართველოს მოქალაქე აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირ(ებ)ი, რომელიც:

1. კონფერენციის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს ძირითადი ან პლენარული მომხსენებლ(ებ)ის სტატუსით;

2. სეზონური სკოლის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს მოწვეული ლექტორ(ებ)ის სტატუსით;

3. კომბინირებული ღონისძიების შემთხვევაში, კონფერენციის ფარგლებში წარმოდგენილი უნდა იყოს ძირითადი ან პლენარული მომხსენებლ(ებ)ის, ხოლო სეზონური სკოლის ფარგლებში - მოწვეული ლექტორ(ებ)ის სტატუსით.

ბ) გრანტის მიმღები ვალდებულია წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაციის შექმნას და ადმინისტრირება გაუწიოს პროექტის ვებგვერდს, ვებგვერდზე განათავსოს ინფორმაცია ღონისძიების შესახებ. ვებ გვერდზე უნდა განთავსდეს მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია - ღონისძიების ჩატარების ანონსი (ღონისძიების ჩატარების თარიღი, რეგისტრაციის ვადები და ა.შ) და ღონისძიების ჩატარების ამსახველი მასალები.

გ) პროექტის დასრულების შემდგომ, სავალდებულოა კონფერენციის ვებგვერდზე ელექტრონული მასალის სახით აიტვირთოს კონფერენციის აბსტრაქტებისა და მოხსენებების კრებული ინგლისურ ენაზე.

დ) ღონისძიების ვებგვერდზე და პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ მასალაზე (ნაბეჭდი, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონული პროდუქცია) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ „პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „The project was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number ...]“.

ე) ფონდის თანამშრომლები უფლებამოსილნი არიან, დაესწონ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ნებისმიერ სექციას, გამოსვლას, ლექციას, გახსნის ან დახურვის ცერემონიას და ა.შ.

ვ) ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროგრამული ანგარიშები, ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები და ვებგვერდის მისამართი გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდზე.

## მუხლი 4. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) პროექტის რეგისტრაცია ელექტრონულ ბაზაში <http://gmus.rustaveli.org.ge> – 2019 წლის 11 თებერვლიდან 1 მარტის 16:00 საათამდე;

ბ) ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია - კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა

ფონდის კანცელარიაში - 2019 წლის 5 მარტის 16:00 საათამდე.

2. პროექტის ელექტრონული რეგისტრაციისათვის სავალდებულოა ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS-ში) დარეგისტრირებული იყოს პროექტის სუბიექტები - იურიდიული და ფიზიკური პირები: წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თანადამფინანსებელი ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ძირითადი პერსონალი, მათ შორის უცხოელი მეცნიერები.

ა) პროექტში ჩართული იურიდიული პირების რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტებია: სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, წესდება/დებულება. ა(ა)იპ-ისა და უსდ-ს შემთხვევაში ასევე საჭიროა ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბიზნესის რეესტრიდან (2019 წელს გაცემული);

ბ) პროექტში ჩართული ძირითადი პერსონალის რეგისტრაციისათვის საჭიროა ბიოგრაფიული მონაცემების შევსება და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთების ატვირთვა GMUS-ში (დიპლომი, სერტიფიკატი ან დოქტორანტი/მაგისტრანტის/რეზიდენტის შემთხვევაში ცნობა სწავლის შესახებ გაცემული შესაბამისი ორგანიზაციის მიერ); საქართველოს მოქალაქე პირებისათვის, თუ აღნიშნული დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ<sup>1</sup>. ძირითადი პერსონალი პასუხისმგებელია წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე.

3. პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია გულისხმობს კონკურსის პირობებით გათვალისწინებული ინფორმაციის შევსებასა და მოთხოვნილი დოკუმენტების ატვირთვას GMUS-ის შესაბამის ველებში.

4. პროექტის რეგისტრაციისას შესაძლებელია მიეთითოს პროექტის სამეცნიერო თემატიკით მომუშავე ქართველი ან უცხოელი არასასურველი ექსპერტ(ებ)ი (მაქსიმუმ სამი), რომელთაც შესაფასებლად წარმოდგენილი პროექტი არ გაეგზავნება.

5. ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპზე „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (რომელიც დაგენერირდება GMUS-ით) შესაბამისად დამოწმებული პასუხისმგებელი პირების ხელმოწერებითა და ორგანიზაციის ბეჭდ(ებ)ით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვადების დაცვით წარმოდგენილი უნდა იყოს ფონდის კანცელარიაში.

6. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილია „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით.

## მუხლი 5. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის განრიგი და ვადები:

ა) **2019 წლის 5 თებერვალი** - კონკურსის გამოცხადება;

ბ) **7 თებერვალი და 21 თებერვალი** - ჯგუფური კონსულტაციები;

გ) **24 თებერვალი** - ელექტრონულ ფოსტაზე შეკითხვების გამოგზავნის ბოლო ვადა;

დ) **11 თებერვლიდან 1 მარტის 16:00 სთ-მდე** - ელექტრონული რეგისტრაციის ვადები GMUS-ში;

ე) **5 მარტი, 16:00 საათი** - ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენის ბოლო ვადა.

2. კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ფონდი ჩაატარებს წარმოდგენილი პროექტების ტექნიკურ ექსპერტიზას, რომლის ფარგლებში შემოწმდება:

ა) პროექტის სუბიექტების - ფიზიკური და იურიდიული პირების შესაბამისობა კონკურსის

<sup>1</sup> საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება.

მოთხოვნებთან;

ბ) წინამდებარე პირობების მე-2 და მე-3 მუხლების მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისობა კონკურსის შესაბამისი ლოტისათვის დადგენილ მოთხოვნებთან.

3. ფონდი უფლებამოსილია ტექნიკური ექსპერტიზის საფუძველზე დაადგინოს ხარვეზი და იმოქმედოს კანონის შესაბამისად.

4. ფონდი უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, რომელიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, შეიცავს არასრულ ან ყალბ ინფორმაციას, ან წარმოდგენილია დადგენილი ფორმების და ვადების დარღვევით.

## მუხლი 6. პროექტების შეფასება

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტების შეფასების პროცედურა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 9 ივნისის №96/ნ ბრძანების მე-8, მე-9 და მე-13 მუხლებით დადგენილი წესების შესაბამისად.

2. კომისია განიხილავს და აფასებს კონკურსზე წარმოდგენილ პროექტებს, ადგენს რანჟირებულ სიებს, გამოავლენს გამარჯვებულებს და წარუდგენს ფონდის გენერალურ დირექტორს დასამტკიცებლად.

3. გამარჯვებულის გამოვლენისათვის კომისია ხელმძღვანელობს შემდეგი წესებით:

ა) მობილობის პროექტების შეფასებისას, ორ ან მეტ პროექტზე თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს პირველ კრიტერიუმში. დაფინანსებისთვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა 12 და მეტი ქულა.

ბ) მობილობის ლოტის საგრანტო ბიუჯეტის 1/3 განკუთვნილია ახალგაზრდა მეცნიერების დაფინანსებისთვის, ხოლო 2/3 - სხვა მონაწილე სუბიექტებისთვის.

გ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორ ან მეტ პროექტზე თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს პროექტის შეფასების პირველ კრიტერიუმში – ღონისძიების სამეცნიერო ხარისხში, შემდეგ კი მეორე და მესამე კრიტერიუმში. აღნიშნულ სამივე კრიტერიუმში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტს. დაფინანსებისთვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა 18 და მეტი ქულა.

4. კომისია უფლებამოსილია რანჟირებული სიების საფუძველზე გასცეს რეკომენდაცია:

ა) კონკურსისთვის განსაზღვრული ბიუჯეტის ამ პირობების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ლოტებს შორის გადანაწილების შესახებ შეფასებული პროექტების სამეცნიერო ხარისხის გათვალისწინებით;

ბ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ლოტისათვის განკუთვნილი ბიუჯეტის კონფერენციებზე, სეზონურ სკოლებსა და კომბინირებულ ღონისძიებებზე გადანაწილების შესახებ.

## მუხლი 7. ხელშეკრულებების გაფორმება

1. გამარჯვებულ კონკურსანტებთან ფონდი აფორმებს საგრანტო ხელშეკრულებებს, რომლებითაც განისაზღვრება ფონდსა და გრანტის მიმღებებს შორის ურთიერთვალდებულებები.

2. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულებთან, რომლებიც წარმოადგენენ ამ პირობების მე-2 და მე-3 მუხლების (ლოტის შესაბამისად) მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

## მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი

1. გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტის დასრულების შემდგომ, 1 თვის ვადაში ფონდში წარმოადგინოს გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად ფინანსური და პროგრამული ანგარიშები.
2. გრანტის მიმღების მიერ შესაბამისი ანგარიშების წარდგენის საფუძველზე, ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 9 ივნისის №96/ნ ბრძანების მე-11 მუხლში განსაზღვრული წესით.

#### **მუხლი 9. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება**

პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 9 ივნისის №96/ნ ბრძანების მე-12 მუხლში განსაზღვრული წესითა და საგრანტო ხელშეკრულებით.